ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3371887

ნომერი: AR1502243

თარიღი : 08.05.2017

გაცემის თარიღი : 04.07.2017

გაცნობის თარიღი : 04.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალეკო გობრონიძე , N 10 / ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , ავტოგასამართ ,,ვისოლის" მიმდებარედ (ნაკვეთი 02/104);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 8 მაისის AR1502243 განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ცვლილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებით, #01.11.13.002.185 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 800 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დოკუმენტაციის განხილვისას დადგინდა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება, შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ხსენებული ცვლილების ასახვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.11.13.002.238 ფართობი 824 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017371580, რეგისტრაციის თარიღი: 05/05/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 5 ივნისის N22 სხდომის ოქმთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის N1-1456 ბრძანებასთან ერთად;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის 2013 წლის 11 ივნისის №714830 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.